კვირა. 25 სექტემბერი 1927 წ. № 119 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

## დაუჯერეთ!



ეროვნული ბიბლიოთეკა




ღამის პირველ საათზე დაბრუნდა და მაშინვე დაიძინა.

როცა ღრმა ძილს მიეცა, მას მოესმა ჩუმი ლაპარაკი. თავისი საკუთარი ფეხები ეჩურჩულებოდენ გამგეს:

— შე უსინდისო შენა, ერთი ლაკის ტუფლები არ უნდა ჩაგვაცვა?! არ გახსოვს უმუშევრობის დროს რა გაჭირვება გადაგვატანიე? მოიგონე ის დრო, როცა სამსახურის საშოვნად ცოფიან ძაღლივით დარბოდი ქვაფენილზე; ფეხსაცმელებს ძირი გამოვარდნილი ჰქონდა და ჩვენ მაშინ ტყავი გადაგვძვრა. ეხლა ხომ გამგე ხარ! ჩაგვაცვი რა ლაკის ტუფლები და „ვიქტორია“-ს ნასკები!

— თქვენ, ეი, რას ჩურჩულობთ?- — ჩამოსძახა ფეხებს თავმა, რომელსაც სიცხე ჰქონდა და გამოღვიძებოდა ამათ ჩურჩულში.—თქვენზე უმალ მე უნდა მცეს პატივი: ახალი ქუდი უნდა დამახუროს; მეყო მანეთნახევრიანი საბაზრო კეპკაში ყოფნა, ეხლა ხომ გამგის თავი ვარ?! ხუმრობა ხომ არ არის! მთელი დაწესებულება მე მაბარია!

— ნუ ტრაბახობ! შენ რა ხარ? რაცა ვარ, მე ვარ!— ისე ჩუმად ჩასჩურჩულა ტვინმა თავს, რომ ფეხებს არც კი გაუგონია.

— კარგი, დაჩუმდი. თუ რამე ხეირი იქნება, შენც შეგხვდება; ჩვენ ერთი და იგივე ვართ! — დააჩუმა თავმა ტვინი.

— ვიცით რაც შვილი ხარ. — დასცინეს თავს ფეხებმა. — შენის წყალობით იყო ამდენხანს უმუშევრად,— არაფრად ვარგოდი, და ეხლა ბედავ რამის თქმას?! ყურუმსაღო, ის არ გეყოფა, რომ ჩვენ შენი ტარება გვიხდება? მადლობა ღმერთს — მძიმე არა ხარ და ცარიელ, უტვინო გოგრის ტარება არც ისე გვიჭირს.

— რაო, რაო?—გაჯავრდა ტვინი, რომელსაც ესმოდა ფეხების ლაპარაკი.

— ხა-ხა-ხა-ხა! — გადიხარხარა ენამ, რომელიც, თურმე უსმენდა ამათ დავას.—დაჩუმდი, თორემ რასაც ამბობენ, დაამტკიცებენ,—და მიმართა მოჩხუბრებს:

— თქვენ ტყვილათ დავობთ; არც ერთი არაფერს არ წარმოადგენთ, რაცა ვარ, მე ვარ. გამგის თანამდებობა ჩემის წყალობით იშოვა ამ უმადურმა ლორმა—და, უჩვენა ლოგინში გაშხლართულ გამგეზე, რომელიც, ეტყობოდა, ცუდ სიზმარში იყო,—რომ მოვხსენი თავი სიტყვების გუდას, იმდენი ვილაპარაკე, სანამ მთელ დარბაზს არ დაეძინა. ერთ კვირაში, გამგეთ დანიშნეს ეს უშნო ესა... სამსახური სამსახურია, და ერთი ლამაზი თანამშრომელი ქალი ისე მოვუხიბლე, რომ ის ქალი გამგისაგან მალე დედა გახდება.

— ერთი ამ ოხრებს უყურეთ და?!. — ბოხი ხმით წამოიძახა ზურგის ქვემოთ უკანა ნაწილმა ისე მოულოდნელად, რომ ესენი შეცბნენ.—ჩემდენი ღვაწლი და ჯაფა არც ერთს და ყველას ერთად არ მიგიძღვისთ. ხომ გახსოვთ როგორ იყო უმუშევრობის დროს? ეხლა სათვალეებს თვალებზე ატარებს; მაშინ ჩემზე ჰქონდა სათვალეები. შარვალი დახეული ჰქონდა იმ ალაგას, სადაც ჩემი რეზიდენცია არის, და იქიდან გამოვიყურებოდი როგორც თვალები სათვალეებიდან. ზამთარში ცივი ქარი მიბერავდა; მუდამ გაყინვებული ვიყავი; ქვეყანა მხედავდა და დამცინოდა; რა მექნა, — ვითმენდი... მერმე, როცა საქმის მწარმოებლის ადგილი იშოვა, იჯდა ფიცრის მაგარ სკამზე და ტყავი გამაძვრო. ყველა კრებებს ესწრებოდა; ეშინოდა არ დამითხოვონო; იჯდა და გამოპარვას ვერ ბედავდა. მაგრამ მაინც მალე ამოჰკრეს პანღური და ეს ტკივილიც მე გადავიტანე. ასე რამოდენჯერ იყო! მაზოლები მქონდა ყველგან; მგონი ეხლაც კი მაჩნია...

— ჰო, ჰო, რა დიდი რამე ყოფილა! — დასცინა კუჭმა, რომელსაც ყური მოეკრა ამათ ლაპარაკისთვის და უსმენდა უკანა ნაწილს.—შენსავით პატივცემული ეხლა არც ერთი არა ვართ. ყურუმსაღო, ავტომობილით რომ დასეირნობ და რბილ სავარძელში ზიხარ,—აღარ გახსოვს რა დღეში იყავი? ეი, ჭკუას დაუხმე, რას მიედ-მოედები?

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ. შენგან არც ახლა არა მაქვს მოსვენება.

— არც შენ არ გეთქმის ეხლა საყვედური გამგეზე.— ჩაერია ლაპარაკში გული.—თუ სადმე კარგი საჭმელ-სასმელია, ყველა შენია. შენის გამო არის, რომ სახაზინო ფულები ისე გაუტკბა, რომ რაც ხანია ისეთ დღეში ჩავარდებით, როგორშიაც ვიყავით; მაშინ ვიკითხოთ ყველამ! არც შენ დაგადგება კარგი დღე—გამსახლის ულუფა მალე მოგიყვანს ჭკუაზე და მაგ ყოყოჩობას დაგავიწყებს.

— ყველას, რომ სათქმელი ჰქონდეს, შენ არაფერი გეთქმის.—უთხრა კუჭმა გულს.

— ვაი შენს პატრონს, რომ არაფერი გაგეგება. მე თუ არ მიმიძღვის ღვაწლი, მაშ ვინ ოხერს მიუძღვის აბა?! როცა უმუშევრად იყო და ისე მიეცა სასოწარკვეთილებას, რომ თვითმკვლელობა განიზრახა, — მე შემოვუძახე, გავამხნევე, თორემ გული რომ გატეხოდა, ეხლა თქვენ ამ რბილ და სუფთა ლოგინში კი არ იქნებოდით, არამედ ცივ და ბნელ საფლავში. მე ყოველთვის მისი ერთგული ვიყავი

— რა ვიცი, რა! დაწესებულებ·ში ამბობენ, რომ ჩვენი გამგე ორგულიაო, ფეხებზე ჰკიდია წარმოების საქმეო; შენ კი იძახი—ერთგული ვარო!—გადმოსძახეს გულს თვალებმა, რომლებსაც გამოჰღვიძებოდათ.

— „არა მკითხე მოაძეო, მიბერტყეს და მიაგდესო“... ასეა სწორედ თქვენი საქმე!—შეუტია თვალებს გულმა.

— მართალია, მართალი!—დაადასტურა ცხვირმა.

— ეს ვისი მეცამეტე გოჭია?!—ორივე მხრიდან შეუტიეს ცხვირს თვალებმა.—შე უბედურო, ჩვენ რომ არ ვიყოთ და გზას არ ვუჩვენებდეთ ამ სულელ ფეხებს, სადმე გარე უბანში კისერს მოიტეხდენ და ქვის კედელზე მიგაჭეჭყდენ, ახი კი იქნებოდა შენზე, მაგრამ...

— ისე მაგრად გაგაწნით ყველას ამ მუშტებს, რომ ტარტაროზი ღმერთად მოგეჩვენოსთ!—დაიღრიალეს ხელებმა.—რაზე დავობთ, თქვე მუქთახორებო?! ვინ გკით-

ხავს თქვენ რამეს? ეგდეთ თქვენთვის,—მორჩა და გათავდა. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ყველას სული ამოგძვრებოდათ!

— რაშია, ყმაწვილნო, საქმე, რომ ასე დიდი წარმოდგენა გაქვთ თავისთავზე?! პორტფელის თრევისაგან ისე დაგრძელებულხართ, რომ მიწას წვდებით და, მგონი, ფეხების მაგიერობაც გასწიოთ!



— დიახ! პორტფელს ჩვენ ვატარებთ: იმ პორტფელშია...

— ძველი საცვლები!—დასცინეს თვალებმა.

— უკაცრავად! ეს მხოლოდ აბანოში წასვლის დროს არის! სამაგიეროთ საქმის ქაღალდებიც უწყვია შიგ. თუ ჩვენი არ გჯერათ, შეგიძლიათ ნახოთ, შარშანდელი ქაღალდებიც კი აღმოჩნდება შიგ?

— რა ამბავია? რა დაგემართათ?—გაჯავრდენ ყურები!—ძილს აღარ გვანებებთ ამ ნაშუაღამევს!

— ოჰო, რა მომხდარა?! ძილს უფრთხობენ თურმე. რას გვეჩხირებით? დაეგდეთ და იძინეთ!—შესძახა ყველამ.

— „მეც ნახირ-ნახირო“!—უკბინეს თვალებმა.

— ვაი, თქვე ბრუტიანებო!—მიუბრუნდენ ყურები თვალებს.—ჩვენით გაქვთ სინათლე, თორემ ნახავდით მაშინ, რა ვაჟკაცები იქნებოდით! ვერა ხედავთ—გერმანული შავი სათვალეები ჩვენზეა ჩამოცმული!

— ბიჭოს, რა დიდ მოვალეობას ასრულებენ!—დასცინა ცხვირმა.—სხვა საქმეში მაინც არაფერში გამოდგებით.

— არა, შენ აკეთებ უფრო დიდ საქმეს!—ამოსხაძა კუჭმა ცხვირს,—ალბად შენ დიდ საქმეთ მიგაჩნია, რომ იმავე სათვალეებს შუაზე შენ ჰყოფ!

— ყოველ შემთხვევაში შენზე მეტს ყველა ვაკეთებთ. შენ გირჩევნია ჭკუით იყო, თორემ პირი თუ შევკარით, სულ ნაკუწ-ნაკუწად გაქცევთ. შენ ხარ ჩვენი ტირანი და შენ ბედავ ჩვენთან ლაპარაკს?—ბრაზისაგან დაკრეჭილმა კბილებმა მუქარით ჩამოსძახეს კუჭს.

— კარგად დაღეჭეთ საჭმელი და ისე მომართვით, თორემ ამბულატორიაში დაჟანგულ მარწუხებით დაგთხრით სათითაოდ ყველას! — ამპარტავნობით და ბრძანების კილოთი უთხრა კუჭმა კბილებს.

— მაგრე ნუ დაიწყებ, თორემ ერთსაც არ გავეკარებით ლუკმას, ისე ხელშეუხებლათ გამოგიგზავნით; მაშინ ნახავთ რაცა ხართ, ჩვენს პატრონს, ნუ გეშნია, კი უყვარს დიდი ლუკმების ყლაპვა. უმადური, გამოსულა აქ და ულტიმატუმებს ისვრის. მიართვით მაგას კარგი საჭმელები. ჩვენთვის კი ჩვენს პატრონს ფხვნილი „ოდოლი“ და ჩოთქი ვერ უყიდია, რომ დილით მაინც დაგვწმინდოს.

— კარგი, გეყოფათ, თორემ მგონი ხახამაც დაილაპარაკოს . ჩაილაპარაკა კუჭმა და უნდოდა მუშაობა გაეგრძელებია, რომ ამ დროს ხახამ გაბრაზებით და მთელი თავისი სიმძლავრით ამოიყრანტალა:

— ოი, შენი... შე მართლა მუქთახორავ და პარაზიტო! ვის უბედავ შენ მაგ სიტყვებს?! განა შენზე ნაკლები ბიჭი ვარ?! პირის და კბილების მიერ გამოგზავნილ საჭმელს რომ დავხვდე, რეკვიზიცია ვუყო, ჩემთვის გადავმალო ყელში და შენ არაფერი გახვედრო.—მაშინ რას იზამ, შე გაუმაძღარო შენა?! ხომ გაგიჩნდა ცეცხლი და ანთება? მაშინ რამდენიც არ შემევედრო, ერთ წვეთ წყალსაც არ გაღირსებ. უნამუსო! აღარ გახსოვს უმუშევრობის დრო, როცა ნახევარ გირვანქა ხმელ პურს თაგვივით ხრავდი? ვაი, დედასა!

— კარგი, ნუ ლაყბობთ. არც ერთი არ ხართ დიდი ბარაქა!—გაუწყრენ ხელები ხახას.

— თქვენ სულელი ხართ. ამ მუტრუკისთვის მუშაობთ!—უტია ხახამ ხელებს.

— სულელიც კი ხარ და უარესიც!

— დაარტყით!

— სცემეთ მაგას.

— ახია მაგაზე...



ყველამ ერთმანეთის წინააღმდეგ გაიწია. თავზარდაცემული გამგე გიჟივით წამოვარდა..

ხელები ყელს ეცენ დასახრჩობათ: გულს შეეშინა და დარეტიანებული წარამარა იქით-აქეთ გვერდს ეხეთქებოდა; ამ აურ-ზაურში კუჭს ერთი დაუმუშავებელი ლუკმა გადასცდა და გამგის მუცელში დეზინტერიის შეუკავებელმა გრიგალმა დაჰბერა; ფეხები ვერ უძლებდენ სხეულის სიმძიმეს და იკვთებოდენ, რითაც გასაჭირი ადგებოდა უკანა ნაწილს იატაკზე ბრაგვანით; ყურები განთავისუფლებულიყვნენ სათვალეებისაგან, რომლის ნამტვრევები იატაკზე ეყარა; შეშინებული თვალები ცეცხლს ჰყრიდენ; ტვინი მაჭარივით დუღდა; ხახა-დაღებულ პირიდან ენა ამოვარდნილიყო და დაღრეჭილი კბილები ვილაცას შეჭმას უპირებდენ.

ყველა ამ სანახაობას გამგე გულიანათ დაჰხარხარებდა.

— იგი თქვენ! აწი იდავეთ და იჩხუბეთ ერთმანეთში! —ნიშნის მოგებით უთხრა ნერვებმა წეხანდელ მოჩხუბრებს, მაგრამ გამგის ხარხარში არავის გაუგონია.

ისელი.



# „ხუმრობა“

მე მყავს ნაცნობი, რომელსაც ერთი ახირებული ჩვეულება აქვს: მას ბევრი რამ ხუმრობათ ეჩვენება. სხვათა შორის ძალიან აინტერესებს პოლიტიკური საქმეები და საერთაშორისო მნიშვნელობის ამბების გასაგებათ ხშირად მესტუმრება: — გაზეთში მუშაობ, რამე ახალი გეცოდინებაო.

— სხვა, რა არის ახალი ამბავი,— მკითხა მან ინგლისის დიდი გაფიცვის დროს.

— ინგლისში გაიფიცა 4—5 მილიონი მუშა.

— ხა. ხა, ხა, ხა!—ჩაიხარხარა მან ლაზათიანად.—მერე მართლა გაიფიცენ გგონია?

— აბა?

— ხუმრობით, ჩემო კარგო, ხუმრობით გაიფიცენ... ხა, ხი, ხა, ხა, ხა...

რამდენი დღის შემდეგ ისევ მესტუმრა.

— ახალი არის რამე?

— გაფიცვა შენელდა, ახლა მხოლოდ მაღაროს მუშებია გაფიცული.

— ე.. ე.. ხი, ხა, ხა. ხა!—ასტეხა მან ხახრახი. — ხუმრობით, თორემ ისინიც მალე დაიწყებენ მუშაობას. ხა, ხო. ხო...

გამეცინა მისი სისულელე.

კიდევ ორი თვის შემდეგ:

— შეიტყვე რამე საინტერესო?

— ჩან-კაი-შიმ უღალატა რევოლიუციას.

— ფხხხ! რასაკვირველია ხუმრობით...

— ფინ-იუი-სიანმაც უღალატა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო,—ამოითქვა სული. — რა ხუმარა ყოფილა ორივე...

— ასათიანმა რამიშვილი მიბეგვა.

— აჰრრრ... ხი. ხა, ხო, ხო... გადაპირქვავდა სიცილისაგან მოსავებული სტუმარი.

— თბილისში შეშა არ იშოვება. არც მარაგია, არც ახალი.

— ხა, ხა... ხუმრობენ...

— სამმა კაცმა თავი მოიკლა.

— ხი, ხი... რასაკვირველია ხუმრობით.

— შტატების შემცირება დაიწყო.

— ხუმრობენ, ხუმრობენ...

დავანებე თავი და კითხვას შეუდექი.

ათიოდე დღის შემდეგ ისევ მესტუმრა. ვიცოდი არ მომასვენებდა კითხვებით და ამიტომ შეუდექი ამბების მოგონებას. დაჯდა, გაზეთი აიღო და ჩააშტერდა. მონახა „შემთხვევების“ განყოფილება და გულმოდგინეთ შეუდგა კითხვას. გამიკვირდა მისი საქციელი.

— პაჭიკო! (მისი სახელია).

ყურადღება არ მომაქცია.

— პაჭიკოჯან, ახალი ამბები არ გაინტერესებს? ბელგია გამორიცხეს ერთა ლიგიდან.



**ბინის დამქირავებელი** (სახლის-პატრონს):— **ბინას არ ვიწუნებ—მომწონს... მხოლოდ, ის მითხარით, ამ სახლში ცუდი ყოფა-ქცევის ქალები ხომ არ ცხოვრობენ?**

**სახლის-პატრონი**:—როგორ შეიძლება!!! მაგ მხრივ ჩემი სახლი უზრუნველყოფილია.

**ბინის დამქირავებელი** (თავისთვის):—ეს კარგია —კონკურენტი არავინ მეყოლება!

ყურიც არ გააპარტყუნა.

— კაცო...

— თავი დამანებე თუ ძმა ხარ!

— რა დაგემართა?

— ბინა გამიტეხეს...

— ვინ?

— ქურდებმა.

— აიჰ! უხუმრიათ...

— რის ხუმრობა, ნივთებიც წაიღეს.

— ფხხხ! — გამეცინა ძალაუნებურად.— ალბათ ხუმრობით, — რასაკვირველია დააბრუნებენ.

— რას დააბრუნებენ, ტანისამოსიც გაუყოლებიათ.

— იხუმრებდენ...

— კაცო, ხომ არ გაგიჟდი, ხუმრობა კი არა შტატების შემცირებაში მოვყევი...

— ხა, ხა, ხა! — წამსკდა სიცილი, —ხუმრობით, ჩემო პაჭიკო, ხუმრობით...

ველარ მოითმინა და თითონაც სიცილი წასკდა.

მეორე დღეს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ერთად - ერთი ოთახის კარები ღია დამიხვდა. გულგახეთქილმა შევირბინე შიგ და ვაი იმ შეხედვას... პაჭიკო, თავის მეორე ცოლით, ვაჟით და სიდედრით ჩემს ოთახში მოკალათებულიყო.

— რაშია საქმე? — გაჯავრებით შევეკითხე.

— გადმოვედით შენთან, ჩემო ოთახი პირველმა ცოლმა და მისმა დედ-მამამ წამართო, ახლა შენ შემოგეკედლეთ... ხუმრობით, ოღონდ, ხუმრობით....

— დიახ, თქვენ სტუმართ მოყვარეობას ვენდეთ! — გაიღიმა პაჭიკოს მეუღლემ.

— არც ისე გწყენიათ ვგონებ ჩემი მოსვლა! — შემომიღრიჯა პაჭიკოს სიდედრმა (ქვრივია) და ელამი თვალი ჩამიქნია. — მიდი ბებიკო ბიძიასთან და შოკოლადს გიყიდის,—უთხრა მან შვილიშვილს, 18 წლის „ბავშს“, რომელსაც ჩემი წიგნები გადმოელაგებია, კარგი ყდები მოეგლიჯა, ჩემს ლოგინზე გასულიყო ტალახიანი წაღებით და კედელზე აკრავდა ყდებს.

— აბა სადილი შენ იცი, ხომ უმუშევარი ვარ... ერთ ნახევარ წელს შეგვინახე და მერე ვიშოვი ალბათ, ოთახს! — სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს ჩემი ახალი და მოულოდნელი მდგმური და „სახუმარო“ ამბებს მეკითხებოდა.

ასე იცის თურმე ზოგიერთმა ხუმარა კაცმა.

**ალლარ—ალლარხან.**

## კედლის გაზეთ

ჟურ. **„ტარტარიზი“-ს რედაქცი**
**ახალგაზრდა მხატვრებს, რომლები**
ლებულობენ ადგილობრივ **კედლ**
მოწონებული სურათები (**კარ**
დაცვით. ჰონორარი მიეცემათ ჩვ
სურათის შინაარსი უნდა შეეხ
**უცხოეთისას.**
სურათს უნდა ჰქონდეს: სათაუ
რი).
**რედაქციას უფლება აქვს ყოვ**

# მოხსენება

დღეს, გამგეობის წევრი, მიხო ბრანწი სამსახურში არ წასულა. ის თავის ბინაზე უჯდა მაგიდას და სწერდა მოხსენებას წარმოების მდგომარეობისშესახებ.

ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. თუმცა ციფრები უკვე ორი თვის უკან იყო გამოყვანილი, ზოგი გაბედულად ჩამოტაცებული ჭერიდან, ზოგიც მცირე ყოყმანით მაჩვენებელ თითიდან ამოწოვილი, მაგრამ სხდომისათვის ეს სულ ერთი იყო. სხდომა რომ იმის გამორკვევას შეუდგეს, როგორ არის გამოანგარიშებული ეს ციფრები, მაშინ ის სხდომა კი არ იქნება, არამედ რევიზია.

ყველას თავისებურად უნდა გამასპინძლება. ყველას თავის გემოვნება აქვს. ზოგს ღვდელი მოსწონს და ზოგს კიდევ ფოთოდია.

დამშვიდებული ასეთ აზრებით გამგოების წევრი, მიხო ბრანწი, გამალებით სწერდა:

„მიუხედავათ იმ მოკლე დროისა, რომელიც ხელთ გვქონდა, მაინც ბევრი რამ იქნა გაკეთებული. არ გვგონია, რომ მეტის გაკეთება ყოფილიყო შესაძლებელი, რადგან პირობები, რომელშიაც გვიხდებოდა მუშაობა, არ იყო მაინცა და მაინც სახარბიელო. პირველი რასაც მივაქციეთ ყურადღება, ეს იყო ამ არა საშურ პირობათა მიზეზების გამორკვევა და მოსპობა. არ იქნება კვეხნა, თუ ვიტყვით, რომ ეს მიზეზები ჩვენ აღმოვაჩინეთ და ძირშივე აღმოვფხვარით...

მიხო ბრანწი შეჩერდა და სიამოვნებით გადაიკითხა დაწერილი. უკეთესად დაწყება შეუძლებელი იყო. კარგად დაწყება კი ბევრ რამეს ნიშნავს. როცა სხდომა დაიღლება, რაც გინდა ის მიაწოდე, ყველაფერს მოინელებს.

მიხო ის იყო შეწყვეტილ წერის გაგრძელებას აპირებდა, რომ უეცრად მეზობლისას როიალი ახმაურდა.

მიხო უსიამოვნოდ შეჩერდა.

— დაიწყო... განგებ უკრავს... იცის, რომ შინ ვარ...

მიხომ კიდევ გადაიკითხა დაწერილი და უკანასკნელი ორ სიტყვას ორჯერ გაუსვა ხაზი.

როიალი განაგრძობდა ხმაურს.

ვის შეუძლია თქვას, რომ როიალი არასასიამოვნო მუსიკალური ინსტრუმენტია. მაგრამ როიალი, რომელიც მეზობლისას დგას, ეს უკვე სხვა ჯიშის როიალია. ასეთი როიალი, როდესაც თქვენ შინ ხართ, მხოლოდ გამებს უკრავს, უკრავს მანამ, სანამ არ მიატოვებთ ყველაფერს, ძილს, ჭამას, მუშაობას და ქუჩაში არ გამოვარდებით.

ეს ინსტრუმენტი სდუმს მხოლოდ მაშინ, როცა დანამდვილებით იცის, რომ მეზობლად შინ არავის არის.

ერთმა კაცმა, რომელიც მეზობლის როიალმა ჩამოახმო და ჩამოადნო, ასეთ ხერხს მიმართა. დაიწყებოდა თუ არა მუსიკა, ის ხმაურით გავიდოდა კარში, ვითომ მივდივარო, და ჩუმად, ფეხაკრეფით შემოიპარებოდა უკან. ხერხი მუდამ სჭრიდა. ამ ხერხის წყალობით მან 45 წლამდე გასძლო და ბედნიერად თვლიდა თავს. ვინ იცის, შეიძლება კიდევ ერთი ამდენი ეცხოვრა, რომ ერთ ღამეს თავისივე ბინაში შეპარვის დროს მეეზოვეს არ შეემჩნია და კომბალი არ ედრუზა თავში. ქურდი გონებოდა. ერთი კვირის წვალების შემდეგსა საფლაოზე წაასვენეს მუსიკით, და კიდევ ერთი კვირის შემდეგ, როიალზე დამკვრელი მეზობლის ქალიშვილი გათხოვდა და როიალიც თან წაიღო მზითვად.

გამგეობის წევრი მიხო ბრანწი, გაბრაზებული დადიოდა ოთახში. მოხსენება ერთი სტრიქონითაც არ მიიწევდა წინ.

— ყასიდათ უკრავს... ჯავრს იყრის, რომ სეკრეტარშად არ მივიღე.

ბოლოს მიხომ მოიკრიფა ძალღონე და ისევ მაგიდას მიუჯდა.

„ამ მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც თითქმის ერთი წელი გასტანა, შენიშნულ იქნა კიდევ ერთი გარემოება, რასაც, თუ დროზე არ იქნებოდა მიღებული ზომები, შეეძლო მთლად შეებრუნებინა საქმის მსვლელობა, რადგან როგორც ამას მეზობლის როიალი ირწმუნება, გამები პირველ მოთხოვნილების საგანია გლეხებისათვის. მხოლოდ რაც შეეხება [illegible], იმას უარი ეთქვა, რადგან იგი თუმცა ახალგაზრდაა და ლამაზიც, მაგრამ 70 პროცენტადაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას და როგორც ხმები დადის ქმარგაყრილიც უნდა იყოს... საერთოდ ბაზრის კონიუნქტურა ისეთი იყო, რომ...

მიხო თმაში ხელებჩავლებული წამოვარდა ზეზე. მოხსენება ილუპებოდა.

უეცრად თითქოს რაღც გარდაწყვიტაო, შუა კარებზე დააკაკუნა და ტკბილი ხმით გასძახა:

— რა მშვენივრად უკრავთ... მუშაობას რომ არ მიშლიდეთ, მერწმუნეთ ბედნიერი ვიქნებოდი დღე და ღამე მესმინა თქვენი როიალისათვის... კმარა ნულარ მიჯავრდებით.... სარეკომენდაციო წერილს მოგცემთ... და თუ თქვენ ეხლავ წაიღებთ მას...

# „ადვილი საქმე"



— კაცო, რა დაემართა მაგ შენს ცხვირს—განზე რომ მოღრეცილა!?

— ცოლი წამეჩხუბა, მუშტი გამარტყა სახეში.

— რაღა მეშველება აწი? როგორ უნდა გაისწორო

— ეს ადვილ საქმეა—ხვალ მეორე მხრიდან გა[illegible] გარტყამს და ისევ გასწორდება.

# სასამართლოში



**მოსამართლე** (მოწმეს):—**გვითხარით როგორ იყო საქმე, თქვენ ხო მოწმე იყავით ამ ჩხუბისა!?**
**მოწამე:—კი ვიყავი მანამ, სანამ მაგათი მუშტები ცხვირპირში მომხვდებოდა... შემდეგ კი არაფერი მახსოვს—თავგატეხილი იქვე დავეცი უგრძნობლად.**

ხმაურობა შესწყდა.

მიხო ბარათის წერას შეუდგა.

„ამხ. თედო, ეს ქალი შენთან სამსახურის თაობაზე მოვა. დღესვე დაანიშვნინე ჩემს მდივნად. ჩემს მოსვლამდის მან იყოს, თორემ მოხსენება დაღუპული იქნება.

**შენი მიხო.**

მიხომ ჩადო ბარათი კონვერტში, დაბეჭდა, დააწერა მისამართი და კარებს ქვეშ გააძვრინა.

მეზობელ ოთახში ერთხანს ხმაურობა იყო. შემდეგ ყველაფერი მიწყდა.

— სულ ერთი არაა, ქმარგაყრილია თუ ქმრიანი... ახალგაზრდა ხომ არის!—ჩაილაპარაკა მიხომ და მუშაობას შეუდგა. ამოშალა მოხსენებიდან უკანასკნელი ხუთი სტრიქონი და განაგრძო.

„დროზე მიღებულ ზომებით ეს დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა და ამის შემდეგ უკვე არაფერი უშლიდა ხელს, რომ წარმოება გიგანტიურ ნაბიჯებით წასულიყო წინ. ციფრებით ეს წაწევა გამოიხატება შემდეგში: 267 პროცენტი წარსულ წელთან შედარებით, 153 პროც. გეგმის მიერ ნავარაუდევ რიცხვისა და 147 პროც. 1914 წელთან შედარებით".

ამის შემდეგ მოხსენება გაქანებულ ცხენივით წავიდა წინ. წინადადებები და სიტყვები თავისთავად მოდიოდენ. რაც არ მოდიოდა, ასეთები ძველ მოხსენებებში და გაზეთებში მზამზარეულად იყო. საჭირო იყო მხოლოდ მათი მონტაჟი. ამაში კი მიხო არც ერთ კინო-რეჟისორს არ ჩამოუვარდებოდა.

უკვე სხდომაზე გამგზავრების დრო ახლოვდებოდა, როდესაც მიხო ბრანწიმ თავის მოხსენებას ასეთი დასკვნა გაუკეთა:

ძირშივე ჩავკალით საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი და პროტექციონიზმი. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციეთ უკანასკნელს, რომელსაც მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვი ასეთ თავდაუდებელ მუშაობის წყალობით წარმოება დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ უკეთესი არ იქნება. მხოლოდ ეხლანდელ გამგეობას შეეძლო ასე წარმატებით წაეყვანა საქმე და არავითარი საბუთი არ გვაქვს, რომ მომავალშიც ასევე წარმატებით არ წაიყვანს. რაც შეეხება უკანასკნელად გარდაწყვეტილ შტატების 20 პროც. შემოკლებას, უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეს დაღუპავს წარმოებას. რადგან თავის ადგილას ყველა საჭიროა და ერთი მათგანის საქმიდან მოწყვეტა წარუშლელ დაღს დასტოვებს სამუდამოდ".

ასე გაათავა მიხომ თავისი მოხსენება. მოიწმინდა ოფლი, გადაიკითხა თავიდან ნაწერი, შეასწორა ზოგიერთი სიტყვები, დაკეცა, ჩადო პორტფელში და უწყებისაკენ გაქროლდა ეტლით.

პირველად თედოს შეხვდა.

— რა ჰქენით... ჩანიშნეთ ის ქალი?..

— კი...აი, ზის კიდეც... ჩაიცინა თედომ.

მდივნის ადგილას იჯდა მოხუცი ქალი და დარცხვენით უცქეროდა გაშტერებულ მიხოს.

— გმადლობთ მიხაილ პეტროვიჩ!.. მე უკვე იმედი აღარ მქონდა, რომ სამუშაოს ვიშოვიდი... შეიძლება მიცნობთ, მე მარგოს დეიდა ვარ... მარგო, ერთი კვირაა რაც მსახურობს...

გამგეობის წევრი კაბინეტში შეიკეტა.

იმ დღეს სხდომა აღარ შემდგარა, რადგან მომხსენებელი ცუდათ გრძნობდა თავს.

მხოლოდ მეორე დღეს შესძლო მიხომ თავის მოხსენების გაკეთება, რომელიც ახალ მდივნის ერთი ბრაზით გადახედვის შემდეგ ასე დაასრულა:

— რაც შეეხება შტატის 20 პროცენტით შემოკლებას, უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეს უმაღლეს წერტილამდე აიყვანს ჩვენს უწყებას, რადგან ჩვენთან კიდევ ბევრია ისეთები, რომლებიც სხვადასხვა ხრიკებით შემოძვრენ აქ.

ყველამ ოვაციებით დაუკრა მომხსენებელს ტაში. მხოლოდ მდივანი იჯდა მოწყენილი...

**სინემატო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოჯოხეთზე უარესი

ტელეფონის წკრიალი გაისმა რედაქციაში.

— გისმენთ!—ჩასძახა მილში ტარტაროზმა.—ჰო, მე ვარ ტარტაროზი!.. რაო? გიორგი? რკინის გზის სამმართველოდან მელაპარაკები?... მერე?.. ხა-ხა-ხა-ხა... კარგი, კარგი... ეხლავე მოვალ.. არა, ავტომობილი არ მინდა. შენსავით ავტოთი არ დავსეირნობ.. მოვალ, მოვალ.

ცოტა ხნის შემდეგ ტარტაროზი რკ. გზის სამმართველოში იყო თავმჯდომარის მოადგილესთან.

— შენი თვალით ნახე, თუ აქ შენს ჯოჯოხეთზე უფრო უარესი ჯოჯოხეთი არ არის!—ეუბნებოდა ტარტაროზს გიორგი.

სიტყვა არც კი გაეთავებინა, რომ ვიღაცამ კარები გააღო და შიგ შემოვიდა.

**თავმჯდომარე.** რა გნებავთ?

**პირვ. მთხოვნ.;** მე თქვენთან გამომაგზავნა დავით ნაცნობაშვილმა. ხომ იცნობთ მას?

**თავმჯდ. მოადგ.:** ჰო, როგორ არა,—ვიცნობ და ჰატივსაც ვცემ.

**პირველი მთხოვნ.:** ჰო-და იმან გამომაგზავნა თქვენთან... მეც ძველი რევოლიუციონერი ვარ. ბევრი რამ გამიკეთებია რევოლიუციისათვის. ცხრაას ხუთში სოციალისტები რომ ფურცლებს ავრცელებდენ, მე რამდენიმე წამიკითხავს... ერთი სიტყვით ბევრი რამე გამიკეთებია...

**თავმდჯ. მოად.:** კარგი, მაგრამ რა გნებავს თქვენ ეხლა?

**პირვ. მთხოვნ.:** რამდენ სოციალისტებს ვიცნობდი, მაგრამ ერთიც არ დამიბეზღებია მთავრობასთან.

**თავმჯდ. მოადგ.:**—ბრძანეთ!

**პირვ. მთხოვნ.:** ცხრაას ხუთში მიტინგები, რომ იმართებოდა, მე რამდენიმეს დავესწარი. ჩემს ოჯახში ბევრ დევნილს შეუფარებია თავი და, წარმოიდგინეთ თქვენ, ლამეც გაუთევია. მე იმათ ახლაც ბევრს ვიცნობ. თუ გნებავთ, სათითაოდ ჩამოგითვლით...

**თავმჯდ. მოადგ.:**—რა საჭიროა; მჯერა. კარგი კაცი ყოფილხართ, მაგრამ მაინც გვითხარით რა გნებავთ: სამსახური, სამუშაო, ავანსი, გზის ბილეთი, ვაგონი თუ რა?

**პირვ. მთხოვნ.:** ესენი ყველაფერი კი მინდა, მაგრამ უალაგოთ ვარ და თუ რაიმე სამსახურს მომცემთ, დიდი მადლობელი ვიქნებით, როგორც მე, ისე ის, ვინც თქვენთან გამომგზავნა, ე.ი. დავით ნაცნობაშვილი. დიდი ალაგი არ მინდა! რამე უბრალო, რომელიც თქვენი ნება იყოს. (ამ დროს კარებში თავს შემოჰყოფს მეორე მთხოვნელი).

**მეორე მთხოვნ.:** შეიძლება შემოსვლა?

**თავმჯდ. მოადგილე:**—მობრძანდით. (ეუბნება პირველ მთხოვნელს): არაფერი ალაგი არა მაქვს; ვერაფერს ვერ მოგცემთ; ძალიანს ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა.

**პირველი მთხოვნელი:** მე ძველი სოციალისტი ვარ, ძველი რევოლიუციონერი; გაჭირვებული, ცოლ-შვილიანი კაცი ვარ...

**თავმჯდ.** მოადგ. (მეორეს):—თქვენ რა გნებავთ?

**მეორე მთხ.:** თქვენი სიცოცხლე.

**თავმჯდ. მოადგ.:**—გმადლობ, რომ ამ სურვილის გამოსაცხადებლად აქ მობრძანებულხართ, მაგრამ მაინც რისთვის გასჯიხართ?

**მეორე მთხოვნ.:** მე ღარიბ კაცი ვარ; ქონება არაფერი მაქვს. ცოლ-შვილი მყავს სარჩენი.. რამე, უბრალო ალაგს გთხოვთ.

**თავმჯდ. მოადგ.:**—სამწუხაროდ არავითარი ადგილი არა მაქვს.

**პირველი მთხოვნელი:** მე რას მეტყვით?

**თავმჯდ. მოადგ.:**—აკი გითხარით—ვერაფერ ადგილს მოგცემთ-მეთქი! (პირველი მთხოვნელი გაჯავრებული გადის. შემოდის რიხით მესამე).

**მესამე მთხოვნელი:** გამარჯობა! როგორ ხარ? ცოლშვილი ხომ კარგად გყავს? (ხელს ართმევს, როგორც ახლობელ ნაცნობს).

**თავმჯდ. მოადგ.** (ცივად): არა მიშავს! ცოლ-შვილიც გვარიანადა მყავს.

**მესამე მთხოვნ.:** მგონი ვერ მიცანით!

**თავმჯდ. მოადგ.:**—რაღაც არ მაგონდებით!

**მესამე მთხოვნელი: როგორ არა, კაცო!**—შენ რომ გაგაგზავნეს ციმბირში, მაშინ რამდენი ვიდარდეთ და ვიტირეთ.

**თავმჯდ. მოადგ.:**—რატომ ჰქენით მერე მაგი?! მაგრამ თქვენ რა გნებავთ ეხლა?

**მესამე მთხოვნელი** (აძლევს წერილს):—წაიკითხეთ რა სწერია.

**თავმჯდ. მოადგ.** (წერილის წაკითხვის შემდეგ:—რა ვქნა, ძალიან მოგეხათრები თქვენც და ამ წერილის დამწერსაც, მაგრამ სამუშაოს მოცემა არ შემიძლია.

**მესამე მთხოვნელი:** რატომ?

**თამჯდომ. მოადგილე:**—იმიტომ, რომ არა გვაქვს!

**მესამე მთხოვნელი:** მაშ რა ვქნა მე?

**თავმჯდ. მოადგილე:**—თქვენი ნებაა!

**მესამე მთხოვნელი:** რაც ჩემი ნებაა ის რომ ვქნა, დამხვრეტენ!

**თავმჯდ. მოადგ.:**—თუ კი ეს იცით მაშ ნუ იზამთ.

**მესამე მთხოვნელი** (გულმოსული):—დამიწერეთ წერილზე, რომ არაფერ ყურადღებას აქცევთ, და ვუჩვენებ იმას, ვინც გამომგზავნა.

**თავმჯდომ. მოადგ.:**—არაფერი წარწერა არ უნდა, ისეც დაგიჯერებს,—და თუ არ დაგიჯ[illegible]ებს, თქვენ ხომ გჯერათ, რომ ვერავითარ ალაგს ვერ გაძლევთ! (მესამე მთხოვნელი გამოგლეჯს წერილს, გაბრაზებული მიდის და კარებს მაგრად გაიხურავს).

**მეორე მთხოვნ.** (დაიწყებს ისევ):—მე შესანახი ბევრი მყავს. რევოლიუციონერი კაცი ვარ... რომ არ მიჭირდეს, რა ღმერთი გამიწყრებოდა, თქვენ შეგაწუხებდით. რაც გნებავთ და რაზედაც გნებავთ, რამდენიც გნებავთ იმდენი მამუშავეთ და რაც გნებავთ ის მომეცით!! (შემოდის მეოთხე).

**მეოთხე:** საქმე იმაშია, რომ თქვენთან სათხოვარი საქმე მაქვს. ამდენხანს პროვინციაში ვმსახურობდი და ეხლა იქ ცხოვრება აღარ უნდა ჩემს ცოლ-შვილს. ამიტომ გთხოვთ ცენტრში გადმომიყვანოთ. შვილებს უნდა ვასწავლო; ჩემთვის გადმოსვლა აუცილებელია.

**თავმჯდომარის მოად.:**—მიმართეთ თქვენს პირდაპირ უფროსს; ანდა პროფკავშირს; გადმოყვანა მათი საქმეა.

**მეოთხე:** განა ერთჯერ და ორჯერ მივმართე, მაგრამ ყოველთვის უარი მითხრეს. (შემოდის ორი მთხოვნელი ერთად)

**ორივე:**— თუ შეიძლება მოგვისმინეთ, საქმე გვაქვს.

**თავმჯდომარ. მოადგ:**—ვიცი, რომ საქმე გექნებათ, ჩემი ნახვა არ მოგენატრებოდათ, მაგრამ ცოტა მოითმინეთ; ხომ ხედავთ მეც საქმე მაქვს.

**ორივე:**—ჩვენ მოთმენა არ შეგვიძლიათ; ჩამოსულები ვართ და გვეჩქარება.

**თავმჯდომ. მოადგ.:**—აბა მაშინ მიბრძანდით! (ორივენი გაჯავრებულნი გადიან. შემოდის თანამშრომელი):

**თანამშრ.:**—ძალიან მიჭირს;—ცოლ-შვილი ავად მყავს და ერთი ათი თუმანი მომეცით ავანსად და გადამახდევინეთ თვეში თითო თუმანი.

**თავმჯდომ. მოადგ.:**—არ შემიძლია; ავანისის გაცემა აკრძალულია.

**თანამშრომელი:** ეს მეც ვიცი, მაგრამ ჩემი საქმე სხვაა. (ამ დროს შემოდის „უმუშევარი")

**„უმუშევარი":**—მე უმუშევარი ვარ; შორიდან ვარ ჩამოსული; გზის ბილეთი უნდა მომცეთ და წავალ აქედან აქ მშიერი ვარ; დაიქცეს აქაურობა.

**თავმჯდ. მოადგ.:**—თქვენ წინეთ სად მუშაობდით? ან რა საქმეს ეძებთ?

**„უმუშევარი":**—მე გზის ბილეთი მქონდა, მაგრამ მატარებელში გამქურდეს და ბილეთიც თან წაიღეს.

თავმჯდ. მოადგილე:—სად გქონდათ ბილეთი შენახული?

„უმუშევარი“:—ჩემოდანში და ჩემოდანი თავს ქვეშ

თავმჯდ. მოადგ.:—კიდევ კარგი, რომ თავი არ მოგპარეს *).. კი მაგრამ ბილეთს ჩამადანში რა უნდოდა?!

„უმუშევარი“:—აბა რა ვიცი მე!

თავმჯდ. მოადგ.:— არც მე ვიცი, თქვენი საქმე. ბილეთს ვერ მოგცემ (შემოვარდება ქვრივი დედაკაცი და ტირის).

ქვრივი:—ქვრივი ვარ?

თავმჯდ.:—რა გნებავთ?

ქვრივი:—სოფლიდან ჩამოვიტანე რალაცები. ამიწონეს ბარგი და ათი მანეთით დამაჯარიმეს. ფული არ მქონდა და ვერ მივეცი. ეხლა მილიციელი მოვიდა და საბანი ამიწერა.

თავმჯდ. მოადგ.:—როდის დაგაჯარიმეს?

ქვრივი:—ორი წლის წინეთ. (თავმჯდომარეს მოადგილე ქაღალდზე წააწერს: „მოხსენით ჯარიმა“). არ გადამახდევინებენ?

თავმჯდ. მოადგ.—არა. (ქვრივი მადლობას უხდის და გადის. ამ დროს უკვე შეუმჩნევლად შემოსული მსუქანი მოქალაქე მიმართავს).

მსუქ. მოქ.:—ბატონო, მე საწყალი კაცი ვარ. სახლისათვის, ოჯახისთვის რალაცები ჩამოვიტანე; დამიჭირეს ვაგზალში, ამიწონეს ტიკები. ბატონო, და კაი ხუთმეტი მანეთით დამშტრაფეს; შე გენაცვალე მომიხსენი შტრაფი.

თავმჯდ. მოადგ.:—კარგი საწყალი ყოფილხარ, თუ ოჯახის საჭიროებისათვის ტიკებით მოგაქვს ღვინო! მიბრძანდით; ჯარიმის პატიება არ შეიძლება!

მსუქ. მოქ.:—იმ ქალს თუ აპატიეთ, მე რა ვარ? ერთისთვის შეიძლება და მეორესთვის არა? ნათლიმამობას და პროტქეციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს სოციალიზმის დროს. (გადის).

„გაჯავრებული“: (შემოდის ხელში ქაღალდით):—ჰა, ბატონო, ჰა! აწი ხომ აღარაფერი გექნება სალაპარაკო? (აძლევს აღმასრულებელ ფურცელს) ორი ათასი მანეთი მეკუთვნის ზედმეტი საათებისათვის.

თავმჯდ. მოადგილე:—შე კაი კაცო, ვის გაუგონია ორი ათასი მანეთი ზედმეტ საათებისათვის?არ მოგცემ არაფრით! თქვენ, ალბად, სასამართლო შეცდომაში შეიყვანეთ!

„გაჯავრებული“:—პროკუროოთან წავალ და მაშინ ნახეთ, თუ არ მომცემთ!

თავმჯდ. მოადგ.:— შენ რომ არ წახვიდე, ჩვენ გაგაგზავნით ასეთი მოქმედებისათვის (შემოდის მდივანი).

მდივანი:—ექვს საათზე სხ[illegible]ის შტატების შემცირების შესახებ და უნდა დაგვესწროთ!

თავმჯდ. მოადგ.:—კარგი. (მდივანი გადის. შემოდის რკინისგზელი).

რკინისგზელი:—ბატონო, სამი წელიწადია ბინა არა მაქვს და როგორმე უნდა მიშოვოთ.

თავმჯდ. მოადგ.:—ხომ არ ხუმრობ, კაცო? სადაური საბინაო განყოფილება მე მნახეთ! (შემოდის უცნობი მოქალაქე).

უც. მოქ.—საავადმყოფოში მიცვალებული მყავს და ვაგონი უნდა დამითმოთ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, მკვდრისათვის კი არა პურის მოსატანად გვიჭირს ვაგონების შოვნა დაასაფლავეთ ტფილისში. აკრძალულია ვაგონის უფასოთ მიცემა.

უც. მოქ.:—ვიცი, მაგრამ უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში.

თავმჯდ. მოადგ.:—რა ვქნა, ჩემო კარგო, შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ისევე გამოვდივარ, რადგან თავისუფალი ვაგონი არა გვაქვს. ფასიც რომ გადაიხადოთ, საჭიროა ნებართვა. (შემოდის ისევ მდივანი).

მდივანი:—ექვს საათზე გამგეობის სხდომა შესდგება და უნდა მობრძანდეთ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, ამ „საღამო“ მგონი ექვსი საათი ერთი იქნება და ერთსადაიმავე დროს რამდენ სხდომას უნდა დავესწრო? (შემოდიან შრომის ინსპექტორი ექიმის თანხლებით).

შრ. ინსპექ.:—ეს რა ამბავია—ამოდენა ხალხი ერთ ოთახში? ფორტოჩკაც არა აქვს! ეს შეუძლებელია! გააკეთებინეთ საჩქაროდ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, თქვენ მოცლილი ხომ არ ხართ!

ექიმი:—შრომის კანონში ასე სწერია. ლენინმა ასე ბრძანა (გადიან).

თავმჯდ. მოადგ. (რეკს. შემოდის მდივანი):—ეხლავე დაწერე კარებზე, რომ დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია.

მდივანი:—კი მაგრამ მუშკორი გაზეთში გამოგჭიმავს!

თავმჯდ. მოადგ.:—რაც უნდა ის ჰქნას! ამაზე უარესი ხომ მაინც არ დაგვემართება საგიჟეთია, ნამდვილი საგიჟეთი (სასო [illegible] ჩაეშვება სავარძელში).

გ. ჩ.

*) ვის რად უნდოდა!

ტარტაროზი.

# ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ჩახუნდარიძე თემაღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. ახალი ცოცხი ჯარასავით დატრიალდა. აქ სკოლის საქმეს მოჰკიდა ხელი, იქ კოოპერატივს, გლეხკომს და ქოხ - სამკითხველოს....

— დამაცადეთ ორიოდე თვეს და ჩვენი სოფელი ქალაქს დავადაროო, იძახოდა ჩახუნდარიძე.

ერთ დღეს ჩახუნდარიძე მაზრის ცენტრიდან გაჯავრებული დაბრუნდა. იმ საღამოსვე მოიწვია საბჭოს სხდომა, რომელზედაც გარეშე გლეხობაც დაესწრო.

— ამხანაგებო, დღეს დავბრუნდი მაზრიდან და გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ეს სენი იქ ფართოდ არის გავრცელებული. ერთგან შევდივარ, ვუცქერ —განყოფილების გამგე ახალგაზრდა ქალთან გაზეთს კითხულობს, საჩქარო საქმე მაქვს და ისენი კი კარებს მიკეტენ. დიდხანს იკითხეს. როცა სამი საათი შესრულდა, მითხრეს—მუშაობა გათავებულიაო. მეორე ალაგას შევდივარ, და გამგე საყვედურით მხვდება, — მთხოვნელების მიღება პირველი საათიდან იწყებაო. და განა ერთი და ორი ამისთანა შემთხვევა! ნახევარი საათის საქმე არა მქონია სულ და, ორი დღე მომიხდა დარჩენა...

უკაცრავად ამხანაგო, წამოდგა ერთი საბჭოს წევრი, არც ჩვენს თემშია საქმე კარგად!...

— დაასახელეთ თუნდა ერთი შემთხვევა, — გაცხარდა ჩახუნდარიძე.

— აი, თუნდა წარსულ ორშაბათს, გარეუბნელები რომ მოვიდენ ტყის საქმეზე და შენ სახლში დააბრუნე, კრება მაქვსო, ნამდვილად კი ნათლობაში წახველი...

— ტყუილია, — დაიბნა ჩახუნდარიძე, — მართალია, უკან დავაბრუნე, მაგრამ მაშ როგორ გინდათ, ხალხი არ უნდა შევაჩვიოთ წესრიგს?! ყველამ უნდა გაიგოს, რომ დაწესებულებები სამ საათამდე მუშაობენ...

ჩახუნდარიძემ საქმე გამოასწორა, მაგრამ ახლა მეორე წამოდგა.

— გუშინწინ ოცი ვერსიდან გაღმა სოფლიდან მოსული გლეხი გააბრუნე, ბეჭედი მდივანმა წაიღო, მე კიდევ არა მცალიანო...

— ეგ რა ვუყოთ, ისევ დაიბნა, ჩახუნდარიძე, ბეჭედი თუ არ დაარტყი, ქაღალდს ისე რა ძალა აქვს?! მაშ მდივანი რაღას აკეთებს, ბეჭედი რისთვის არის მოგონილი. სიტყვა სიტყვას ვეღარ გადააბა...

— ძირს... ძიიირს...! დაიძახეს გლეხებმა.

— უქნარა, მცონარა.... მიაყოლეს მეორე მხრიდან...

ჩახუნდარიძე გაწითლდა, ენა მუცელში ჩაუვარდა და გაიპარა...

ᲔᲙᲐᲚᲘ.

# „კეპრთაყვანის ცემა“



**ჩამოსული მოქალაქე** (ქუთაისელ მეეტლეს):—შენი ჭირიმე, ცოტა დაიკელი და წამიყვანე ბინაზე!
**მეეტლე:**—ნაკლებ არ იქნება,—სიმინდი ძვირია... ხუთი მანეთი შენთან, თორემ სხვას მეტს გადავახდევინებ.

# ტარტაროზი

## კოწიას სიმღერა

**(ნინოშვილის თემი)**

თუმც გამსახლში ვზივარ,
მაგრამ მაინც ვმღერი.
რა გინდ მიყიჟინონ,
რას დამაკლებს მტერი.
როცა გარედ ვიყავ,
ყველას ჰქონდა რიდი.
საქმეს მავალებდენ,
კაცი ვიყავ დიდი.
ნინოშვილის თემი
ჩემს ხელთ იყო სრულად.
კიდეც გამოვსანსლე
რაც გაანჩდა ფულად.
აქ რაც მომაბრძანეს
წელი გადის მგონი;
ლამის შემომადნეს
შეძენილი ქონი.

———

მახსოვს მე დავარქვი
ჩვენს თემს ნინოშვილი;
ამით „გავიმასქნე“
საქმე მეტად მსხვილი.
მივაშურე თბილისს
დიდი არძით ხელ'ში;
თავი ამოვყევი
მყისვე სასახლეში.
შეეწიეთ ცოტა—
ვსთხოვდი იქ მე ყველას,-
ნინოშვილის სოფელს
ბულხაურს და ყელას.
(გულში ვიცინოდი,
რომ ვჩმახავდი ასეთს,
იგი ხომ მემკვიდრეთ
ეკუთვნოდა ჩაჩჩეთს!).
—უნდა ითქვას მეტად
ღარიბია იგი;
რომ ვიზრუნოთ მასზედ
წესია და რიგი.—
და გაილეს კიდეც
ჩერვონცები ბლომად.
გულში ვფიქრობ:—ან კ
მზად ვარ გასაძღომად.
რომ ვიბრუნე პირი,
და მოვიხმე ავტო,—
ვინახულე წამსვე
„ორიანტი“, „არტო“...
და გავქაფე სრულად
ჩერვონეცი ასი, —
რამაც დამაცლია
ბოლოს სიმწრის თასი.
რაღაც ჩემდა ბედათ
გაგვიუქმეს თემი;
მიაწერეს სადღაც
შეაკვეცეს ფრთები.
სარდიონ და კოლა
ამით გაახარეს;
(მაგრამ ჟამთა-ბრუნვა
მათაც გაამწარებს).
და ამაზე აქაც
მე ავტეხე დავა,
რომ ჩვენ გვეკუთვნოდა
მოსათლელი გავა.
ჩემს მხარზე იდგენ
ყაისო და ესე,
არ დასდევდენ იმას
მე თუ რა დავთესე.
ამ დროს მუხთალ მტერსაც
თურმე არ ეძინა;
უცნაური ხრიკით
აქ მიპოვა ბინა.
მაგრამ ეს სურვილი
მაინც აღმისრულდა.
ნინოშვილის თემი
აღდგა, დაგვიბრუნდა!
მაშ, რა ვუყოთ მერე
დღეს თუ აქა ვმღერი;
ყველას ავზღავ, ვფიცავ,
თუ კი გამოვძვერი.

**ჩახუნდაიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ზემლავერი"

— გამარჯვება ბასავ.

— გამარჯობა, შენ ნუ მომიკვდები, მითამ ჩალ-ვან-ხაში დამიმარცხებია ჩინეთში, — ანეულის დრო გა-ვიდა და ერთი კვალი მიწა არსადა მაქვს გაჩიჩქნილი.

— მერე, შე ყურუმსალო, რატო არ შააბამ გუთანს?

— რო შავაბა, შარა გზას ხო არ მოვხნავ! აგე ი ზემლავერია.. რაღაცა, სანამ სულ არ დაჰპლანავს არ შა-ძლებაო.

— იქნება იმან წრეულს ვერ დაპლანოს, უხნავი ხო არ დავრჩებით.

— არ იცი რო ვერ დაჰპლანავს! წრეულს კი არა, სანამ კარგა არ ისწავლის მიწის ხაზვას... აქ უნდა დაას-რულოსო კერსები, ჩვენ მიწაზე...

— ავიღოთ კაცო და ჩვენც მოვხნათ...

— რო მოჰხნა, მერე იცი როგო უნდა მოჰხნა?

— როგო?

— ეხლა სხვანაირად უნდა თურმე. განათლებულად. თოფის ლულასავით გაიშვერს ხოლმე ზემლავერი ი „ფა-თარატია" თუ რაღაცა და ერთი გორის წვერიდან მეორე გორის წვერს უმიზნებს—აგრე უნდა გაატაროთ გუთა-ნიო—ისე გონია ჰაიროპლანი იყოს ი თორმეტუღელა გუ-თნეული.

— კაცო ვეუბნები ზემლავერს: სად გაგონილა ეგე-თი პლანი?

— თუ არ გაგონილა, მე გაგაგებინებთ: ეხლა ყველამ ერთი მიმართულებით უნდა ჰხნათ.

— რას ამბობ, კაცო. ერთი მიმართულებით მკვდრე-ბიც არ მიდიან საიქიოში...

— საიქიოს თავი გაანებე. სააქაოში ყველაფერი პლანზე უნდა იყოს.

— ეი! დალოცვილო! მაშ დავიჯერო შენს თაროში ჯამები სუ პლანზე აწყვია!?..

— ეგ რა ლაპარაკია!

— კაი ლაპარაკია: სუ ჯამები ხო არ გიწყვია თარო-ში!

— თაროში თუ არ გაკეთდება, აქ უნდა გავაკეთოთ, მიწაზე.

— მაშ, ეხლა აგე იმ გორაზე რო ერთი მტკაველი მიწაა, იქ პლანი გაკეთდება?! კატის ჩულსავით მიწაა, სა-ით უყო თავი?

— საითაც ეს ლულა იყურება.

— ეგ ხო იბრეულად გამოვა.

— რას ჰქვიან იბრეული?

— აი, თქვენ გაკეთებულ საქმესა, შენი ჭირიმე. გინა ხავს და გაგიგია, რომ ნახნავს ერთი ადლი სიგძე ჰქონდეს და ათასი სიგანე?

— როგორ?

— როგორ და ა აიმ გორაზე რო ერთი ლართხაა წაკ-რული, გარდიგარდმო უნდა მაიხნას, შენ კი ალმა-დალმა პლანამ: თორმეტუღელა ხარდაკამეჩი. შენ თავშიც აგრე ტრიალებენ აზრები?!.

— ხეპრესავით ნუ ლაპარაკობთ! გახსენით თავი ლეხებმა და შეუშვით შიგ განათლება: ეხლა პლანზე უნ-და მოჰხნათ.

— ეგეთი პლანი არ ვარგა, ამხანაგო, მაგრამ მაგ პლანვასაც რო ალარ ათავებ: ანეულობის დროც წავიდა, ნელად მოხვნის დროც, ან როდისლა მოვხნათ, ან როდის-ლა დავთესოთ.

— ეგ მე არ ვიცი. როცა გაეათავებ, მერე გინდა ნე-ლა მოხანით, გინდა ჩქარა.

— ვაი ჩემი ცოლშვილის ცოდო გეკიდოს მაგ კისერზე!

**ფუშანგი.**

# „თუნგი"

## ცოცხალი სურათი

სცენა სწარმოებს გორის მაზრის ერთ დიდ სოფელში. მთელი რიგი დუქნებისა სავსეა ხალხით. შუა ქუჩაში დე-დაკაცი მიდის და თავ-პირში იცემს, თან მოსთქვამს:

**დედაკაცი**—შაქრო, შენამც დაგმიწებია ეგ გასაქვა-ვებელი ხელები. შენ გულზე ნახოს კეკელამ მიწა. შე პირუკულმა დასამარხო შენა!.. ვაიმე, ჩემო მზითვის თუნ-გო... (ბავშვები და დედაკაცები აქა-იქიდან ქუჩაზე გად-მოდგებიან და გაკვირვებით უყურებენ).

**ხიდონია**—ქა, კეკელო, შე უბედურის შვილო, რა იყო ქალო, ნიკლას ხომ არა ასტეხია რა?..

**კეკელა**—მიწამ შეჭამოს ჩვენი შაქრუას თავი!.. გე-ნაცვალეთ, ეს რა მიყო, თქვენი ჭირიმე... აგრემც ოხ-რად დაურჩებათ წითელი სასადილოა, თუ რაღაც შავი ჭირი! ჩემ ამოსავარდნად გაალეს... ეგ ოხრად დასარჩენი დუქანი. აგრემც ძირიან-ფესვიანად ამოვარდება აქაური კოოპრატია, ბანკიც და კომისარიცა,—სულ იმათი ბრა-ლია მაგის დაარსება. გენაცვალეთ, მთელი ქვეყნის გაყ-რილ-გამოყრილ მიკიტნებს აქ თავი მოუყარეს ტრახტირივით დუქანი გამართეს და ეგ არის მშრომელი ხალხის ვითომ დასასვენებელი და ია-ფად პურის საჭმელი ადგილი... აი, ისემც ჩემი ცოდით ამოწყდებიან და ამოიგვებიან. ქრისტიანი თუ ხარ, ამ ქალაქია დღე, ხომ თქვენცა ხედავთ, თქვენი ბედნიერი თვალით, ამ ქალაქია დღე, ამ ჩვენ კაცებს მუშაობისათვის თავი მიუნებებიათ და შეჩვეულ ბაზრის ძაღლებივით სული აქ ამოსდით! წელამდი გავწყალდით, გენაცვალე წელამდი!

**ხიდონია:**—აკი ნახევარ ბოთლი ღვინის მეტის და-ლევა აკრძალულიაო?

**კეკელა:**—აი, ისემც თავი დაუმიწდეაა იმ თრითიხა ბიჭსა! ქალო, დახლიდრათ ის დამდგარა და ისეთია, ისე-თი.. მოაქვს და მოაქვს ის ძირგასავარდნი ბოთლები,— და ე ჩვენი უბედური ხალხიც, მიუვა თუ არა ნუნუას სუნი,—მოიტა-მოიტას გაიძახიან...

იმ დღეს თურმე ლაღლაძის ბიჭი ისე დათვრა ისე, იმდენი ფული შაჭამა, რომ ვერცხლის ქამარი შემოიხ-სნა და გირაოდ იქ დაუტოვა.... განა ეგ სამართალია!?

**ერთი დედაკაცი:**—აი, გენაცვალე, მეც ძაგან გამაუ-ბედურა...

**კეკელა:**—ის მიწისაგან გამოსახვრელი, ჩვენი შაქ-რუაც აქ მიეჩვია, ქალო და ამ ქალაქია დღე სულ აქ ალამებს. აღარც მუშაობა, აღარც ცოლ-შვილი, აღარც ოჯახი... (ტირის) გაგიგონიათ ეს უბედურება?! დამიბრ-მავდეს მე თვალები. დედაჩემის სახსოვრად ზანდუკში ერთი პრიალა თუნგი მქონდა შენახული. ისე პრიელებ-და, ისე, შვილები არ დამეხოცება, როგორც კაი ოქრო; იმისთანა დახატული გვერდები ჰქონდა, რომ იმი ცქე-რით ვერა ვძღებოდი... (უფრო ტირის) ის თურმა წუხე-ლის მოუპარავს და შალომასთან დაუგირავებია. (თავპირ-ში წაიშენს) ვაიმე, ჩემო ლამაზო თუნგო... როგორ მიყ-ვარდა, თქვენი ჭირიმე, როგორა!...

**ხიდონია:**—ქა, დედაკაცო, რა გატირებს, გასწი ი შა-ლომასთან და ის წითელი წვერები აგლიჯე. აბა ნუ მოგ-ცემს!.

**პატარა გოგო:**—უი, ძალო, შალომას ცოლს, რახიე-ლას, გუშინ, ძმები არ დამეხოცება, ბუხრის თავზე ედგა რაღაცა პრიალა და სულ იმას შესცინოდა.

**კეკელა:?**—უი, უი, დამიდგეს თვალები... ყველას მიწაში გავაცინებ, შაქრუასაც, შალომასაც და ი წითელ სასადილოს, თუ რაღაცა ჯანდაბა, ახლა მართლა სულ მთლად გაუწითლებ; ჩემს სისხლს იქ დავღვრი, ყველა-ფერს მიუგრ-მოუნგრევ, ჩემი თუნგის დაგირავებისათვის, ერთი იქ ჩავიდე! (გარბის).

**ჩხვლეტია.**

# რომელია!

ყოველ კუთხეში თქვენ ნახავთ მთვრალებს,
ჩახლეჩილობა ეტყობათ ხმაში.
ერთს უხარია და ეცინება,
რომ მან აჯობა სუყველას სმაში.
მთვრალია ყველა, თვით მეისრეც კი;
დარაჯთან უნდა მას მიძინება.
იქ კი ვილაცა სიზმარში არის,
რალაცას ბოდავს და იგინება.

—:—

ერთი ხიდი აქვს მარტო ამ ქალაქს
მეორე მხარეს გადასასვლელი.
კვირა-უქმე დღეს თუ გინდა გასვლა
თან უნდა გქონდეს სასმელ-საჭმელი.

—:—

აქ აფთიაქი მუდამ სავსეა,
როდის მოუწევს კაცსრიგი ნეტა?!
(შიგ მოლარე ზის ისე ლამაზი,
რომ ყველას უნდა იმისი ჭვრეტა).

—:—

ქვევით ბაზარში სამხარაძეა
(ბეგლარა არის მისი სახელი).
რიჟა კაცია ის ჭარხალივით,
ხეირს ვერ ნახავს მისი მნახველი.

—:—

ფულის მადა აქვს ამ ჩარჩს ისეთი,
(თანდათან კიდევ ისე გადიდდა),
რომ მან სიმინდი მანეთიანი
ჩვიდმეტ აბაზზე მეტად გაჰყიდა

—:—

იორდანეა სპეცი ექიმი,
ქებული არის ფულის ღებაში
არ დაგჯერდება სამმანეთიანს
თუ კი შეგხვდება გაჭირვებაში.

—:—

აქ ხომ თეატრი სულაც არ არის,
რალაც სახლია თავლის მაგვარი.
თუკი შიგ შედი, მაშინ მშვიდობით,
არშინზე არის მტვერი ნაყარი.

—:—

ერთი თეატრი ქალაქს არ ჰქონდეს,
ეს ვერაფერი მოსაწონია.
თქვენ ეს ქალაქი სხვა არ გეგონოსთ,
ჩვენი პატარა ზესტაფონია.

**ძმუნტა.**

## ლანირ-ქუტირი

ჩვენში ამბობენ:
—გვყავს ექიმბაში;
სოფელში დარბის
იგი ვით რაში.

აბზიანიძე
ელპიტო „წყნარი“.
დოსტაქარია
ის უებარი.

წამლობს ყველაფერს,
ციებას, შანკირს
(რომელსაც აყრის
გოგირდსა ან კირს)

და საყმაწვილოს
წამლით კი ყველას
მტკიცე დასტურით
ჰპირდება შველას.

გალესავს აგურს,
ზალახის ძირებს,
ხატის ნაბანით
იგი აპირებს,

რომ ჩააგონოს
გლეხობას, რომა
მას შეუძლია
თვით მკვდრის ადგომა.

ქირას ღებულობს
ხორბლით და ფულით
(ძუნწი არ არის
ელპიტე გულით).

თუ, მაგალითად,
რა გაქვს ფარა—
მისთვის სასყიდლად
გოჭებიც კმარა.

შინაც ღებულობს
ის პაციენტებს.
სხვებთანაც მიდის
(თავს არ იმეტებს).

ამგვარ ხელობით
და მსახურა
ნიჭას ჰყვლეფს ყველას,—
და თვითონ მღერის
„ოდელა-დელა“-ს.

**შიხლინხკი ბომბ.**

## სამტრედია

პროვინციაში სიძულვილს,
არა აქვს კიდე, საზღვარი!
ჭანგელი ბზიკი ყველას სძაგს,
როგორც აფთარი საზარი.
მაინც კალამი ამბორით,
ამ მხარეს ეხმაურება,—
არ მინდა ლოთი გრიშახა,
არც ცქერა, არცა ყურება..
კაცი ექიმად აღზრდილა,
(თუმცალა აღზრდა აკლია);
მის წარსულს და მის აწმყოს
შავი ღრუბელი აკვრია.
ტარტაროზ, ჩემო ტარტაროზ,
ჭირიმე შენი სულისა!
ექიმი გველეხიანი.
საშინლად გამიგულისდა.
დამხვდა ქუჩაში (ქუჩაა,
მისი სახლი და კარია)
შემოგვევსია გარშემო
ხალხი, ვითარცა კალია.
დაიწყო „ლოცვა-კურთხევა“—
გამბანა როგორც წესია!
არ მოეწონა, ჟურნალში
რომ იყო მასზე ლექსია.
როცა რომ ჩემზე იჯერა,
„მარგალიტებით“ გულია.
„ქებათა-ქება“ შენც გიძღვნა,
არ მოგეხათრა სრულიად.
ტალღა ავარდა ტრიალით,
[illegible] გადიფარა სუდარა!
ხალხმა გამიგო დუმილი—
გრიშას დაუწყეს მუდარა.
და გაიფანტა ზოლებათ:
ღრუბელი, შავი ნისლები!,
და წაბარბაცდა ექიმი:
მუქარით, რალაც ნიშნებით—
ესე ამბავი ნამდვილი„
გულში ძევს როგორც ყინული!—
ვინ მოგვაშოროს ნეტავი,
ეს ვილაც თავგანწირული?!.

**ჭანგელი ბზიკი**

## გამოცანა

(ვ ... რისათვის)

ვაჭარი არის თაღლითი,
ვერ ნახავთ იმის მსგავსაო,
პირი ორშიმოს მიუგავს,
თავი კი გურულ კვახსაო!
ღიპი წინ წამოუგდია
(წიწმატით განაბერია)
არშიყი არის წყეული,
ქალების ერთობ მტერია!
ერთ წელიწადში: ორ-სამჯერ,
ჯვარს იწერს ეს პირშავია,
გააწყო ქალის სინსილა
(ხორცად არს ერთობ ავია!)
ერთმა მეუღლემ მხოლოდ-ღა
გაუძლო ხუთი წელია,
მაგრამ მოაბა თავს რქანი,
დღე გაუთენა ბნელია!
რაც ტყავი აძრო მან ხალხსა,
წელს წაუვიდა მთელათა,
შერცხვენილ, თავ-ლაფ-დასხმული,
ალკვეცას ლამობს ბერათა!
აწ გამოცნობას, მე მგონი,
ვინც კია ოდნავ ფხიანი,
თუ ვინ არს ესე მოვახშე,
მავალი გრეხილ რქიანი!
ეცადეთ გამოიცანით,
რჩევაა ძმური ჩემია,
თუ გსურთ მიიღოთ საჩუქრად
ერთობ ძვირფასი პრემია.
პრემია მეტად ლამაზი
და თვალწარმტაცი პლაკატი,
მარკოზ ფხალიძის სურათი,
დიდ ხაჯალიას ნახატი.

**ქვე-მეხა.**

## საჯავახო

საჯავახოში გვეწვიე;
შემოიარე „ეპოში“.
გამგეობისა წევრს ნახავ,
გაშლილი დადის თეძოში.

სახელად ქვია **ივანე**,
**მამალაძე** აქვს გვარია,
გადაუჭირე მათრახი,
გასანთლული და მწარია.

თუმც ძმა-ბიჭები ბევრი ჰყავს,
ქურდობა დამალულია,
შენის ჩამოსვლით, ძმობილო,
ვიქნებით მოხარულია.

„ეპოს“ კიოსკში პურს ჰყიდდა,
გაქაფა ბევრი ფუთია;
მოპარვის მიზნით იჯიბა
ჩერვონცი ოცდა ხუთია.

მაგრამ გამსახლი ანახვეს
შიგ იჯდა სამი წელია,
რა გამოვიდა იქიდან,
კვლავ გაიმართა წელია.

აბრეშუმის ტრესტს მიადგა
და შიგ ამოჰყო თავია.
(ნეტავი შიგ ვინ მოაწყო,
ეს არის საკითხავია?).

ფერდულის გამგეთ დაბრძანდა,
რომ ჰქონდეს მეტი ხეირი...
ელოდეთ მალე იქნება
თვალდანახული სეირი.

**ყაპუ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სკვაზნიაკი“

საქულ ჯან, კარგია კაცმა ყველა ენა მოხარშულად იცოდეს. მე რო მცოდნოდა, ისემე შეცდომები არ გამივიდოდა.

ამას წინად ზნაკომებმა კრასნი სტალოვოიში დამპატიჟეს. პური როდესაც გიახელი და ღვინის სმას შეუდექით, ვიღაც სხვა შემოვიდა და კარი ღია დააგდო. დაჯდა სტოლთან. მაითხოვა სადილი და შაუდგა ჭამას. მე უკვე შემითამაშდა ოპოპები ღვინის სმისაგან. ამ დროს ფანჯარაც ღია იყო. სწორე გითხრა—კარგი ნიამი მოდიოდა. ერთმა დაიძახა:—ჩქარა კარი დახურეთ. „სკვაზნიაკი“ მოდისო მეორემ სთქვა: ვაიმე, გამაცია; „სკვაზნიაკი“ მოდის.

მე წამოვხტი, ვიძრე ლევროვი და ვყვირი:

— გაუშვით მოვიდეს მე არავის მეშინიან! მაგის შიში ვერ გამაციებს! გააღეთ კარები შემოვიდეს ვიღაც „სკვაზნიაკია“.

მოხდა არევ-დარევა. მეცნენ. უნდოდათ ლევროვი წაერთმიათ, შემოვიდა სტარში მილიციონი. მას შემოჰყვა ორი მილიცელი შუშტუკით პირში და ხელში ლევროვებით, რუკი ვერხ მიქნა და წამომიყვანა უჩასტკაში.

მებნებიახ:—„სკვაზნიაკი“ ვინ არის?

ვუბნები:—არ ვიცი, მილიციონჯან; ჩემი ამხანაგები იცნობენ.

მილიციონმა უბძანა მაეყვანათ ჩემი ამხანაგები. მაიყვანეს და ჰკითხეს:—ვინ „სკვაზნიაკი“ უნდა მოსულიყო? რას ამბობს ეს?

უამბეს:—კარები ღია იყო, ქარი ქროდა და ვთქვით —„სკვაზნიაკი“ მოდის და დაკეტე კარები—ამას „სკვაზნიაკი“ კაცი ეგონა,—ვინმე მტერი მოდისო; იძრო ლევროვი და ყვიროდა:—გაუშვით, მოვიდესო.. ამ დროს მოვიდა მილიციონები და წამაიყვანეს.

მილიციონებმა ტკბილათ გადიხარხარეს და გამამიშვეს.

ამის შემდეგ. თუ კარი ღია იქნება, მეც ვამბობ:

— „„სკვაზნიაკი“ მოდის კარები დახურეთ. ჩემ ცოლსაც ერევანში წერილს რო ვწერამ, უწერამ: შუშანჯან! კარები და ფანჯრები ღია არ დაქრჩეს, თორემ სკვაზნიაკი შამოა და გარცივდებითქო...

კარაპეტ სიღნაღელი.

# ტელეფონთან

ტრ... ტრ... ტრ...

— ლანჩხუთი ხარ? აღმასკომი მოვიდეს ტელეფონთან... აჰა, გიორგი შენა ხარ?.. მე ჩიბათის აღმასკომი ვარ... რა საქმე მაქვს, კაცო, და აგერ გეტყვი: ჩვენ გზებს რაცხას ქე ვაპაიჩნკებთ, მარა რათ გინდა,—თქვენს საზღვართან რომ ჩამოვალთ, თავი დასტრახული უნდა გვქონდეს; ადამის ჟამს მერეთ კენჭი არ დაგიყრია. გვეხრჩობა ხარი, კამეჩი, ქალი და ბაღანა... ასი გზობა გთხოვეთ, მარა მაინ არაფერი გამევიდა. ახლა უკანასკნელათ... რაო? თქვენი საქმე არ არის?.. საგზაო კომისიას მივმართო?.. ჰოო, კარგი აბა; უკაცრავათ!

ტრ... ტრ... ტრ...

ვინ არის ტელეფონთან? საგზაო კომისია? მადლობა ღმერთს, რომ გიპოვეთ... მე ჩიბათის აღმასკომი ვარ... რა იყო, კაცო, და რატომ არ აკეთებთ ჩვენს საზღვარზე გზას?... რაო თქვენი არ არის? კაცო, ნუ შემშლით ჭკუიდან! აბა ვისი საქმეა? ჯუნჯუათელების? ჰოო, უკაცრავათ აბა!

ტრ... ტრ... ტრ...

ჯუნჯუათი ხარ? ჩიბათის აღმასკომის გელაპარაკები... რა იყო და ის იყო, რომ ამდენი ხანია ვეძებ და ვერ მივაკლიე ვისი გასაკეთებელია ჩვენს საზღვარზე რომ გზაა თურმე თქვენი ყოფილა... კაცო, სირცხვილია; ქვეყანამ შეიგნო გზის გაკეთების საჭიროება და თქვენ კი.. რაო? რაო... ო, ღმერთო, ნუ გადამრევ, თუ თქვენი საქმე არ არის, მაშ ვისი საქმეა?.. რაო? ეშმაკმა იცის! კი მაგრამ ii ეშმაკი ვინღა იცის? ისევ ჯაოზიას ვარჩევიებ მითარგმოს.

ჯაოზიე ხარ? ძალიან კარგი... საქმე შემდეგშია: ჩიბათის საზღვართან რომ დაქცეული გზაა, ვისი გასაკეთებელია იგი და ვინ არის მისი პატრონი? გვითხრეს ეშმაკმა იცისო, და ალბად შენ გეცოდინება... აბა გაშალე კარტი და გვირჩიე... რაო? ტარტაროზმა იცის თუ ვისი გასაკეთებელია ლანჩხუთის გზაი?.. მადლობა ღმერთს, ეგებ აწი დაგვადგეს საშველი... ბიჭია და ნუ გააკეთებენ აბა?

შხანკოლა.

### აცანა (გურია)

ართქმს, გიგოს და ნიტიფოს
ამშვენებს ბესარიონი.
ამ ჩარჩებს მგონი ვერ გასწმენდს
ვერც სუფსა, ვერცა რიონი.
გამდიდრებულან ოხრები,
არ თაკილობენ ყვლეფასა.
სულით - ხორცამდე ხალხს სჭამენ,
თვით იმსუქებენ კეფასა.
სახალხო სახლსაც ვესტუმროთ
დღითი და ღამით მტირალსა,
მოუთავებელს, საბრალოს
და ობოლივით მცქირალსა.
დიდხანს დარჩენა ამ სახლთან
არ არის ხელსაყრელია.
გლეხკომის სასადილოსა
გვერდზე შეკრია წელია.
საჭმელი შემოლევიათ,
ნოქრები სხედან მშიერი.
სიმშილის გამო აღარ აქვთ
სახეზე ფერი, იერი.
ექიმი არის საჭირო,
მაგრამ ვინ ნახავს მიშასა!
ქალებს სდევს, არა სცალია,
ასწორებს მთა-ბარს, ქვიშასა.
წასვლა თუ სთხოვეთ სოფელში,
ზევით აიწევს ცხვირია.
ას საჟნის შორე მანძილზე
„იორღა“ ცხენი სჭირია.
ბანკმა დაიწყო ვაჭრობა
და ტყემლის ოპერაცია.
მთელი სოფელი შეინძრა,
ტრიალებს ქალი, კაცია...
და ბოლოს ბანკი აცხადებს:
—ჩვენ გვინდა მორაბულიო.
სხვა გადაჰყარეთ სუყველა,
გამოგველია ფულიო.
გაჯავრდა ხალხი... ისმოდა
წყევლა და საყვედურია;
სამაგიეროთ ამ ჩვენს ბანკს
ლორები არ ემდურიან
გადაყრილ ტყემალს მიაძღენ,
ისმის იმათი ტაშია;
კურკების მტვრევა - ხმაური
მაღლაც კი ისმის ცაშია.

ვაჩე.

### ბეჩო

ზემო-სვანეთი

ტარტაროზო!... სვანეთიდან
მსურს გაგაცნო საქმე ერთი,
ქმარიან ქალს... და ცოლიანს
შეუყვარდა ერთმანეთი.
კაცი ცოლშვილს ეფიცებ:
სიყვარულზე ექიმ ანას,
თავს ევლება სიყვარულით
და უმტკიცებს მთელ ქვეყანას.
ქალი ასე უპასუხებს:
—- გენაცვალე, ჩემო ვალო;
მე მსურს მაგ შენს ლამაზ თვალებს
ჩემი ქმარი ვანაცვალო.
შეგეხვეწენ ორივენი
მოგვცეთ ცნობა უტყუარი—
თუ კი შესაძლებელია:
ორი ცოლი, ორი ქმარი.
რომ ცოლ-ქმრობდეს თანასწორად
თუ კანონი არის ასე?..
დაჩქარებით გვიპასუხე,
ტარტაროზო, შეკითხვაზე.
გთხოვთ ქორწილზე აქ მობრძანდეით,
თუ გსურს გასვათ რახი.
აქ ბევრი გვყავს მოსახდენი,
წამოიღე თან მათრახი.

მესტიელი ხვლიკი.

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „მფარველი ანგელოსი“

შოთა რუსთაველი რომ ეხლა ცოცხალი იყოს და ფოთში ცხოვრობდეს მთლიანი კოოპერატივის მახლობლად, იგი ალბად ასე იტყოდა:

**...მაგრამ გამგე არ გასწირავს კაცს ბედისგან განაწირსა.**

შეიძლება, როცა შოთა ამას სწერდა მეთორმეტე საუკუნეში, მხედველობაში ჰყავდა ფოთის მთლიანი კოოპერატივის გამგე და მისი ზოგიერთი თანამშრომლები, რომლებიც მართლა გასწირა რევოლიუციამ, რამეთუ ისინი იყვენ შავრაზმელები.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ჩარჩვაჭრებს და სპეკულიანტებს კოოპერატივი რატომღაც არ უყვარსთ. მაგრამ მეცნიერების ამ შეხედულებას არ ეთანხმება ფოთის მთლიანი კოოპერატივის გამგე და მან კოოპერატივში თავი მოუყარა „ყოფილ ადამიანებს“.

ჩვენს თანამშრომელ „ბუკს“ საშუალება ჰქონდა გადაეღო სურათი, როცა ეს „ყოფილი ადამიანები“ გამგეს სამსახურს სთხოვენ და კეთილი გამგე იწყნარებს მათ ვედრებას.

**რომ მან სიკეთე გვიყოსა.**
**„პრისტავი“, ჩარჩი, ვაჭარი**
**შენ შემოგევლეთ ყველაო.**
**კოოპერატივში მიგვიღე,**
**ჩვენ სხვა არა გვაქვს შველაო.**

აი ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ:

**კოოპერატივი მრავალჯერ გაქურდეს, გაფლანგეს და ერთხელ კიდეც გადასწვეს.**

ალბად „შინაურებმა“ „ხელი მოითბეს“ ცეცხლზე.

საკვირველია, ყველა ამის შემდეგ როგორ გადარჩენ კოოპერატივის ვირთხები!

## „ძაღლის მოყვასი“

როცა მკითხველმა ესსათაური ამოიკითხა, მას ეგონა, რომ ჩვენ ლაპარაკი გვექნებოდა მანდილოსანზე.

მაგრამ ლაპარაკია წალვერის დასასვენებელ სახლის სასადილოს გამგეზე, ე. ი. გიორგი მაკაროვზე, (მამრობითი სქესისა).

ჩვენ მას ვერ ვიცნობთ, მაგრამ როგორცფ. **ორტეველი** სწერს, იგი ასეთი ყოფილა:

„საკმარისია ერთი წუთით დააგვიანდეს დამსვენებელს, რომ მას **ულუფის მიღების უფლებას ართმევს და ჩამორთმეულ ულუფით ძაღლს ასუქებს**“ (ხაზი ავტორისაა).

ბოლოს ასე დასკვნის: **ასეთ პიროვნებას დასასვენებელ სახლში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.** (ხაზი აქაც ავტორისაა).




ჩვენ არ ვეთანხმებით დასკვნაში **ორტოველს.** სწორედ ასეთ პიროვნებას უნდა ჰქონდეს „დასასვენებელ სახლში“ (ანუ გამსახლში) ადგილი.

## ორნი არიან, ძმები არიან.

**„ძმა ძმისთვინა კარგი დღისთვინა“**—ასე ამბობენ გაგრაში ორი ძმა: სერიოჟა და ვარლამ კეშელავები. **ჯა**მაგირის მისაღებად მისულ მუშებს ასე ეუბნებიან:

**არ გეგონოთ აქ ქალაქი,**
**აგი არის დაბა გაგრა.**
**არ გვაქვს ფული და რა მოგცეთ,**
**თქვენი ფული სადღაც გაჰქრა.**

სად „გაქრებოდა“ მუშების ფული?

„საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯიბეები გაუსინჯოს ძმებს. ამბობს **ლეჩხუმელი მუშა,** რომლის წინადადებას სავსებით უერთდება **ტარტაროზი.**

---

## ...ა მხატვართა საყურადღებოთ

...ნზრახვა აქვს ჟურნალში მონაწილეობა მიაღებინოს ...ოვინციებში თავისი ნორჩი კალმით მონაწილეობას ...აზეთებში..

...რები) დაიბეჭდება ჟურნალში ავტორის უფლების ...ატვრების თანაბრად.

...დეს უმეტესად **ადგილობრივ ცხოვრებას** და იშვიათად

...არწერა და საჭიროების მიხედვით ციტატა (ამონაწე-

**...არი შესწორებებისა.**

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.

---




გვიშველე, ჩვენო მფარველო,
ჩვენ ობლები ვართ „ნიკო“-სა.*)
შენს გარდა სხვა ჩვენ არვინ გვყავს,

*) ნიკოლოზ მეფესი. რედ.

## საჟარაულო ჟარაული

**საჭამიასერი, გურიაში, ხოლო ნიკოლოზ ოსიძე საჭამიასერის ყარაულია.**

როცა დაღამდება და ბაზარი იძინებს, ნიკოლოზი წამოწვება და ამოუშვებს ხვრენას. ისე ღრმად და ტკბილად სძინავს, რომ ურმების და სოფლელების ხმაურიც 'კი ვერ აღვიძებს.

— ძილში ქე მესმის ხმაურობა,—ამბობს იგი,—მაგრამ თავი ძილისაგან ისე მაქვს დამძიმებული, რომ მაღლა აწევას ვერ ვახერხებ.

(საკვირველია, ასე მძიმე ასაწევი როგორაა ცარიელი თავი!).

ამიტომ ოსიძეს მიუჩინეს ყარაული, რომელსაც სოფელი შეეკითხა:



**— რა საჭირო ხართ ამ პატარა ბაზრისთვის ორი ყარაული?- აწი უყურე ოსიძეს — მთელი ღამე ძილში იქნება!**

**— თქვენ ცდებით! ბაზრის ყარაული ისევ ერთია —ოსიძე, — ხოლო მე მას ვყარაულობ, რომ ღამით არ ჩამოეძინოს.**

ამ წერილის განხილვის დროს, ლევარსი როხროხაძე რედაქციაში იყო და როცა ეს ამბავი წაიკითხა, მან დასწერა წერილი, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

ამხ. „კირილეისონ“ ცდება, როცა დასცინის ოსიძეს, რომელიც მადლობის ღირსია, და აი რატომ: ყარაულს ყარაული მიუჩინეს, რომ არ ჩამოეძინოს, მეორე ყარაულსაც გადაედება პირველის სენი. („ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. ბოდიშს ვიხდი, რომ მათ ხარი ვუწოდე). მაშასადამე, ამ მეორესაც დასჭირდება მესამე ყარაულის მიჩენა. შემდეგ მესამესაც დასჭირდება, — და ასე ამგვარად ბაზრის მთელი მოსახლეობა იძულებული იქნება ღამ-ღამობით ერთმანეთს უყარაულოს. მაშასადამე: მთელი ბაზარი ღამით გაღვიძებული იქნება და მას შეუძლია ივაჭროს, ისაქმოს, იმუშაოს; სამაგიეროთ დღითი ყველამ დაიძინოს. ამგვარად საქმე იმ დასკვნამდე მივა, რომ ყარაული აღარ იქნება საჭირო რადგან მუშაობა დღის ნაცვლად ღამით იწარმოებს, ხოლო იძინებენ ღამის ნაცვლათ,— დღისით.

როცა მკითხველმა ეს სათაური ამოიკითხა, მას ეგო-

თავისი აზრის უფრო გასაგებათ, ლევარსიმ მხატვარ დონს დაახატვინა შემდეგი ორი სურათი:



საჭამიასერი ღამით, როცა ადგილობრივი მცხოვრებ ნი ერთმანეთს ყარაულობენ, რომ არ დაეძინოთ.



საჭამიასერი დღით, როცა ადგილობრივი მცხოვრებ ნი იძინებენ, რადგან წინა-ღამით ერთმანეთს ყარაულობენ.

ც

# ცნობათა მიღება



**კრაზანას** (ზაჰესი): მაინც არაფერი გამოვა, რომც შევასრულოთ თქვენი თხოვნა:

**გთხოვთ, ტარტაროზ, რომ ერთხელ**
**ჩვენს ზაჰესსაც ეწვიო**
**და უტვინო თავქარიანს**
**გააგლიჯო ბეწვიო.**

ბეწვის გაგლეჯით კი არა, — ერთმანეთისთვის თავ-პირი დაუმტვრევიათ და ჭკუა მაინც ვერ უსწავლიათ;

**მცხეთას კაცი აფრინეს—**
**ღვინო არის თუ არა;**
**ორაგული შესწვეს და**
**ყველამ ჩამოუარა....**
**გამოხცალეს ბოთლები,**
**ყველა გადაირია,**
**დაუმტვრიეს ერთმანეთს**
**ტანი, ცხვირი, პირია.**

ამის შემდეგ ტარტაროზს რაღა დარჩა, რომ ჩამოვიდეს და;

**მაგრად მუშტი შემოჰკრას,**
**თანაც ჩანგლის ყუათ,**
**რომ ისწავლონ იმათმა**
**აწი მაინც ჭკუათ.**

საცემ ალაგს ტარტაროზი კი აღმოაჩენდა სადმე იმათ სხეულზე, მაგრამ ამით მაინც არაფერი გამოვიდოდა.

**ელვის:** იმედი არ გქონდეთ—თქვენი წერილი არ დაიბეჭდება და ნუ ელოდებით მას ჟურნალში. უფლება გაქვთ იყიდოთ ცხელი „ტარტაროზი“.

**ხაშარს** (ვანი. ოზურგეთის მაზრა): **გასჭრა პროტექციამ და თქვენს წერილს ვათავსებთ... გოდორში ამ ამონაწერის** გამოკლებით:

**ფერის-ცვალებას თევზს ხჭამენ,**
**ეს ჩვეულება ძველია.**
**თევზი რომ ველარ იშოვეს,**
**საკლავსა მიჰყვეს ხელია.**

კიდევ ამონაწერის მოყვანა **არ** არის საჭირო, რადგან ყველა მიხვდება და ბუნებრივია, რომ:

**ჯერ არაფერი... და როცა**
**შევიდა ღვინო თავშია,—**
**ვერც ერთი ვერ დაეტია**
**თავის საკუთარ ტყავშია.**
**დაჰქროლეს ბოთლებ-თეფშებმა....**
**და სცემეს ერთი-მეორეს...**
**ამ სისულელეს აწ ნეტა,**
**თუ ვინმე განიმეორებს?!**

ხომ, გაგიგონიათ:— **ასი ფურტყი დავითასა, მაინც** იზამს თავისასა!

**პიპოს:** ჩვენთვის გამოგეგზავნათ და პატივის-ცემას არ მივაკლებდით. აფსუს! ახია თქვენზე. ასეთი ულაზათო და უშნო როგორ უნდა იყოთ? (სურათების წარწერებს გამოვიყენებთ).

**ვერ მიცანს,** (ქუთაისი) აი ჩვენი პასუხი თქვენს შეკითხვაზე: — როცა ერთდაიმავე ამბავზე სწერს ორი ავტორი, რედაქცია, რასაკვირველია, მოათავსებს მას, რომელიც უფრო უკეთესია.

**ზარხოშს** (ქუთაისი): ეს სიმღერა კი არარის,—ეს არის „ხრიწინი“. გამხმარ თავს, გამხმარი კუჭი სჯობია. ამიტომაც თქვენ უარეს მდგომარეობაში ხართ, ვიდრე თქვენი „სიმღერის“ მომღერალი.

**ლ.რ. ს.** მარტო ინიციალები არ კმარა. სახელის და გვარის პირველი ასოები ბევრს ერთი და იგივე აქვს,— (მაგ. ლევარსი როხროხაძე). მაგრამ ჩვენ მაინც დავბეჭდავთ, რადგან თქვენ იწერებით, რომ—თუ დაბეჭდავთ ამ ლექსს და ამ ჩემს სურათსაც მოათავსებთ,—მეტს არასოდეს არ გამოვაგზავნი და აღარ შეგაწუხებთ.

### გაცრუებული პაემანი

**გელოდებოდი ფეხის ადგილთან,**
**ხადაც სალორეში ეძინათ ღორებს.**
**თუმც სუნი იდგა იქ საზარელი,**
**მაგრამ მივეყრდნე მე იქვე ყორეს.**
**იყო შუაღამე. ყველას ეძინა.**
**ციდან დამცქეროდა მე მზე და მთვარე:**
**ისე ეტრფოდენ ერთი-მეორეს,**
**რომ ჩვენი თავი მათ შევადარე.**



**გისურვებთ**—ისე ხშირად შეხვდეთ თქვენს შეყვარებულს, როგორც მზე და მთვარე ერთმანეთს **ხვდებიან.**

დაპირება უნდა შევასრულოთ—წერილი კიდევ არ გამოგვიგზავნოთ, თორემ თქვენ მიწას და იუპიტერს ერთმანეთს „შეახვედრებთ“, რასაც მოყვება მსოფლიოს კატასტროფა. ჩვენ კი ჯერჯერობით ამისათვის არ გვცალია.

**ლიახველს** (გორი)

„მენშევიკი რამიშვილი,
ვერ ყოფილა კაი შვილი“...

აქამდე გეძინა? ბნელა?

**გრიპს:** შე გულუბრყვილო, რა გატირებს თუ ცოლი **დაგეკარგა!?** პირიქით—მოხარული უნდა იყოთ მაგნაირ ცოლის დაკარგვისა.

თქვენი ცოლის საპოვნელად აღწერილი გაქვთ მისი ნიშნები: **კოვერკოტი საზაფხულო პალტო (კონტრაბანდი) „ვიქტორია“-ს ჩულქი (ისიც კონტრაბანდი). „ლორიგან კოტი“-ს (ისიც კონტრაბანდი) პუდრით შეთხუპნული სახე. თმა რიჟათ შეღებილი. ტუჩები წითლად შეღებილი, მანიკურ-გაკეთებული, თხელი, გამჭვირვალე და მოკლე კაბა.... და სხვა...**

ვინაიდან, თითქმის ყველა მანდილოსანი მაგნაირად არის შემკობილი, ამიტომ თქვენი ცოლის ნახვა, შეუძლებელია. არის ერთი შესაძლებლობა—ეგებ ის, როგორც **ყოველმხრივ „ჩაკონტრაბანდებული“, ზის შესაფერ ალაგას. მიაკითხეთ იქ!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორნი არიან, მზგავსნი არიან...



მამლაყინწა (ბიუროკრატს):—ამხანაგო, ზრდილობა იქონიეთ—წინ ნუ მისწრებთ! თქვენზე ნაკლები არც მე ვარ.

ალმასკომის სტამბა. ვლმოს ქუჩა, № 68.